N გ-21-03/1404
17/05/2021

1404-გ-21-03-2-202105171849

სს „მედია ჰოლდინგს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2021 წლის 20 მაისს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) მოსამზადებელი სხდომა, სადაც განიხილება სს „მედია ჰოლდინგის“ (ბრენდული სახელწოდება „კომედი არხი“) წინააღმდეგ მოქალაქე თორნიკე მურღულიას საჩივრის განსახილველად მიღების საკითხი, (საფუძველი: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მ.შ. ელენე მიროტაძის მიმართვა (N21-10-822 14.05.2021); თორნიკე მურღულიას საჩივარი შ-21-9/2109 14.05.21).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ან უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მ.შ. ელენე მიროტაძის მიმართვა (N21-10-822 14.05.2021);

2. თ. მურღულიას საჩივარი (შ-21-9/2109 14.05.21)

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია